საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

KA011726486463821

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

 # 978/ს **16 / ივლისი / 2021 წ.**

ბრძანება

სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს'' სათავო ოფისის შენობა-ნაგებობაში, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, ფართის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის № 570 დადგენილების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის № 1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს №8753 (01.07.2021 წელი) და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს № 5/41009 (01.07.2021 წელი) წერილების და სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს №39878 (29.06.2021 წელი) დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განხორციელდეს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ - სააგენტო) სათავო ოფისის შენობა-ნაგებობის (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. № 22) პირველ სართულზე 49.4 კვ.მ შენობის ფართის (ბრძანებაზე თანდართული ნახაზის შესაბამისად - დანართი № 1, სადაც მონიშნულია ზემოაღნიშნული ფართი (სამზარეულო)) იჯარით გაცემა, ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის ვადით.

2. საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა - 30 (ოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარით, რომლის მოქმედების ვადაც 7 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საიჯარო ქონების სარგებლობაში გადაცემის ვადას.

4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს არაუგვიანეს 2021 წლის 16 ივლისისა და გაგრძელდეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადით.

5. უძრავი ქონების იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემისთვის დადგინდეს შემდეგი პირობები:

ა) იჯარის საგანი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მოიჯარემ მოუაროს მას და მკაცრად დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესები; მეიჯარის თანხმობის გარეშე არ განახორციელოს სხვა საქმიანობა, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულისა;

ბ) უზრუნველყოფილ იქნეს კვების ობიექტის ფუნქციონირება ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით (გარდა დასვენების დღეებისა), არანაკლებ 12:00 საათიდან 16:00 საათამდე. საიჯარო ქონებაში დაუშვებელია საკვები პროდუქტის მომზადება. აღნიშნული პუნქტის დარღვევის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

გ) უზრუნველყოფილ იქნეს ყოველდღიურად განსხვავებული არანაკლებ 20 დასახელების საკვები პროდუქტის გაყიდვა, მათ შორის პურ-ფუნთუშეულის, ცომეულის, ტკბილეულის, წვნიანის და სხვა, ამასთან, მარხვის პერიოდში დამატებით არანაკლებ 10 სამარხვო პროდუქტების გაყიდვა. კვების ობიექტზე დასაშვებია მხოლოდ 12 საათის განმავლობაში მომზადებული საკვების რეალიზაცია. საკვები უნდა მომზადდეს ახალი და უმაღლესი ხარისხის პროდუქტებით ან/და ინგრედიენტებით. აღნიშნული პუნქტის

დარღვევის შემთხვევაში თითოეულ საკვებ პროდუქტზე მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

დ) საკვებ პროდუქტებზე დაწესებულ იქნეს ხელმისაწვდომი ფასები, რომლებიც არ უნდა აღემატებოდეს მსგავსი პროდუქციის საშუალო საბაზრო ღირებულებას.

ე) კვების ობიექტში დაცული იქნეს სანიტარული და ჰიგიენური ნორმები. საჭიროებისამებ, მაგრამ არანაკლებ ყოველდღიურად, განხორციელდეს საიჯარო ქონების დასუფთავება. აღნიშნული პუნქტის დარღვევის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

ვ) გამოყოფილ იქნეს პირი (მოიჯარის თანამშრომელი ან სხვა უფლებამოსილი პირი), რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების დაუყოვნებლივ გამოსწორებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული პუნქტის დარღვევის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0.5%- ის ოდენობით;

ზ) კვების ობიექტზე ანგარიშსწორება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც ნაღდი, ასევე საბანკო ბარათის მეშვეობით. აღნიშნული პუნქტის დარღვევის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

თ) კვების ობიექტში შესაძლებელია გაიყიდოს მხოლოდ საკვები პროდუქტები და არაალკოჰოლური სასმელები; აღნიშნული პუნქტის დარღვევის ყოველ ფაქტზე, მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

ი) სააგენტოს სათავო ოფისის შენობა-ნაგებობაში განთავსებული ორგანიზაციების თანამშრომელთა გამოკითხვის შედეგების შესაბამისად შერჩეული, მაქსიმუმ 5 ყველაზე მოთხოვნადი საკვები პროდუქტი გაყიდოს კვების ობიექტში;

კ) სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია კვების ობიექტში რაიმე სახის რეკლამის განთავსება. აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

ლ) კვების ობიექტის კომუნალური ხარჯის ღირებულება გათვალისწინებულ იქნეს ქირის ღირებულებაში;

მ) გადაცემულ საიჯარო ქონებაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოფილ იქნეს გამართულ მდგომარეობაში მყოფი არანაკლებ ერთი სამაცივრე ხაზის, არანაკლებ ერთი ცხელი მარმიტის, არანაკლებ ერთი მიკროტალღური ღუმელის და მწერებისგან დამცავი ბადის დამონტაჟება. აღნიშნული პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საიჯარო ქირის 0.5%-ის ოდენობით;

ნ) საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

6. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად, ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების პროექტი დანართი №2-ის შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში მოიჯარეს წარმოეშობა ვალდებულება გამოათავისუფლოს საიჯარო ქონება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ ანაზღაურდება.

8. დაევალოს სააგენტოს შესყიდვების სამსახურს ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის აუქციონის სისტემის ვებგვერდზე (www.eauction.ge) განთავსება და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი.

9. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 6), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია ჩირიკაშვილი